სილაბუსი

სასწავლო კურსის სახელწოდება	**ახალი ბერძნული ლიტერატურის ისტორია 2** **History of Modern Greek Literature 2**
ავტორი	**სოფიო შამანიდი**
ლექტორი	**სოფიო შამანიდი,** ასოცირებული პროფესორი, თსუ, ჰუმანიტარული ფაკულტეტი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, ტელეფონი: 2253220, e-mail: shamanidi@hotmail.com **სვეტლანა ბერიკაშვილი**
სასწავლო კურსის კოდი	
სასწავლო კურსის სტატუსი	1. ჰუმანიტარული ფაკულტეტი, ახალი ბერძნული ფილოლოგია
	2. ბაკალავრიატი
	3. სავალდებულო
სასწავლო კურსის მიზანი	კურსის მიზანია შეუქმნას სტუდენტებს წარმოდგენა ახალი ბერძნული ლიტერატურის მესამე და მეოთხე ეტაპზე (IX-XX სს.) როგორც მეცნიერების დარგზე, მის მრავალმხრივობასა და სპეციფიკაზე, განიხილოს ბერძნული ლიტერატურა იმავე ეპოქის ევროპული ლიტერატურის კონტექსტში. სწავლება მიმდინარეობს ბერძნულ ენაზე.
კრედიტების რაოდენობა და საატების გადანაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად (ECTS)	• 5 კრედიტი – 125 სთ. • ორსაათიანი ლექცია და ორსაათიანი სემინარი • სალექციო – 30 სთ. • სემინარი – 30 სთ, (მათ შორის შუალედური გამოცდის ჩატარების – 4 სთ. – 2 სთ. თითო შუალედურ გამოცდაზე) • შუალედური გამოცდებისთვის მომზადება – 4-4 სთ. (სულ 8) • საბოლოო გამოცდისთვის მომზადება – 9 სთ. • საბოლოო გამოცდის ჩაბარება – 3 სთ. • ლექცია-სემინარებისთვის მომზადება – 45 სთ.
სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები	ახალი ბერძნული ლიტერატურის ისტორია 1
სწავლის შედეგები	**ცოდნა და გაცნობიერება** სტუდენტმა იცის: ახალი ბერძნული ლიტერატურის განვითარების ძირითადი ეტაპები მე–19–მე–20 სს–ში, ჟანრები, მნიშვნელოვანი ავტორები, მათი შემოქმედების ძირითადი პრობლემატიკა და კვლევის თანამედროვე მდგომარეობა, ამ პერიოდის ცალკეული ლიტერატურული ნაწარმოებების კონცეპტუალური და სტილისტური მახასიათებლები, ახალი ბერძნული ლიტერატურის თავისებურებები ევროპული ლიტერატურის კონტექსტში;

	დასკვნის უნარი ახალი ბერძნული ლიტერატურის ამა თუ იმ აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით მასალებისა და მონაცემების შეგროვების, გააზრების, სისტემატიზაციისა და მათ საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი, ლიტერატურათმცოდნეობითი მეთოდების გამოყენებით; ახალ ბერძნულ ლიტერატურათმცოდნეობაში არსებული საშუალო სირთულის პრობლემების იდენტიფიკაციისა და თანამედროვე მეთოდების გამოყენებით მათი გადაჭრის გზების მოძიების უნარი; ახალ ბერძნულ ლიტერატურათმცოდნეობაში როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის, სხვადასხვა მეცნიერული მოსაზრებების, ჰიპოთეზებისა და თეორიების კრიტიკული შეფასებისა და საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბების უნარი; **კომუნიკაციის უნარი** ახალ ბერძნულ ლიტერატურასთან დაკავშირებით წერილობითი ანგარიშის, საჯარო გამოსვლის ტექსტის მომზადების უნარი ქართულ და ახალბერძნულ ენებზე; სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ახალბერძნულ ლიტერატურასთან დაკავშირებული ინფორმაციის ზეპირად გადაცემის უნარი ქართულ და ახალბერძნულ ენებზე; სწავლისა და კვლევის პროცესში თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ახალბერძნულ ფილოლოგიაში არსებული უახლესი ელექტრონული რესურსების გამოყენების უნარი. **სწავლის უნარი** ახალ ბერძნულ ლიტერატურაში საკუთარი ცოდნის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასების და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრის უნარი; სამუშაო დროის რაციონალურად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი. **ღირებულებები** ახალბერძნულ ფილოლოგიაში არსებული ეთიკური პრობლემების ამოცნობის, გააანალიზების, შესაბამისი გადაწყვეტილებების შერჩევისა და დაცვის უნარი; პიროვნების თავისუფლების პატივისცემა და ტოლერანტობის გრძნობა; ზოგადსაკაცობრიო და ევროპული ღირებულებებისადმი პატივისცემის გრძნობა.

<table>
<tr><td>**სასწავლო კურსის შინაარსი**</td><td>იხ. დანართი.</td></tr>
<tr><td>**სწავლებისა და სწავლის მეთოდები**</td><td>ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ინტერაქტიული სწავლების მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი.</td></tr>
<tr><td>**შეფასების კრიტერიუმები**</td><td>
<table>
<tr><td>ლექციაზე დასწრება</td><td>10%</td></tr>
<tr><td>სემინარებში მონაწილეობა</td><td>20%</td></tr>
<tr><td>I კოლოკვიუმის შედეგი</td><td>15%</td></tr>
<tr><td>II კოლოკვიუმის შედეგი</td><td>15%</td></tr>
<tr><td>საბოლოო გამოცდა: წერითი</td><td>40%</td></tr>
<tr><td>საბოლოო შეფასება</td><td>100%</td></tr>
</table>
სემინარებში მონაწილეობაში იგულისხმება სტუდენტების მიერ დამოუკიდებლად მომზადებული მასალის ზეპირად წარმოდგენა. შეფასების მაქსიმალური ქულაა 20. შეფასებისას გათვალისწინებული იქნება მასალის დამუშავების დონე, ინფორმაციის სიზუსტე, საკითხის ირგვლივ მსჯელობის უნარი, მასალის ბერძნულად წარმოდგენის დონე.
19-20 ქულა – სტუდენტს ჩაბარებული აქვს პროგრამით გათვალისწინებული ყველა საკითხი, აქვს დამოუკიდებელი და შემოქმედებითი აზროვნების უნარი, შეუძლია მასალის გადმოცემა ამომწურავად პროფესიულ ენაზე. პასუხობს პროგრამასთან დაკავშირებულ დასმულ დამატებით შეკითხვებს;
15-18 ქულა – სტუდენტს ჩაბარებული აქვს პროგრამით გათვალისწინებულ საკითხთა უმრავლესობა, აქვს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეუძლია მასალის სათანადო დონეზე გადმოცემა;
10-14 ქულა – სტუდენტი ერკვევა პროგრამით გათვალისწინებული საკითხების მნიშვნელოვან ნაწილში; მაგრამ სრულად არ აქვს ათვისებული დასახელებული ლიტერატურა;
3-9 ქულა - სტუდენტს ჩაბარებული აქვს საკითხების ნახევარზე მეტი დამაკმაყოფილებლად, ძირითადი ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილი სუსტად აქვს დამუშავებული ან კარგად აქვს ჩაბარებული პროგრამით გათვალისწინებული საკითხების მხოლოდ მცირე ნაწილი.
0-3 ქულა – სტუდენტს პროგრამით გათვალისწინებული საკითხებიდან არც ერთი საკითხი არა აქვს ჩაბარებული დამაკმაყოფილებლად.
კოლოკვიუმების ანუ შუალედური გამოცდების შეფასება ხდება ტესტის საშუალებით, სადაც სამი საკითხია წარმოდგენილი. თითოეული საკითხის შეფასების მაქსიმალური ქულაა 5, კოლოკვიუმის მაქსიმალური შედეგი 15 ქულაა.</td></tr>
</table>

	5 ქულა – პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამოწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია; სტუდენტს შესაბამის დონეზე აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა; 4 ქულა – პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი; ტერმინოლოგია დაცულია; საკითხი ზუსტად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტს ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა; 3 ქულა – პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები; 2 ქულა – პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა. აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა; 1 ქულა – პასუხი ნაკლოვანია; ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული, ან არ არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები; 0 ქულა – პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული. **საბოლოო გამოცდა არის წერითი.** მაქსიმალური ქულაა 40. შემოწმება ხდება საკითხებით. ბილეთში მოცემულია 4 საკითხი. თითოეულ საკითხს მინიჭებული აქვს მაქსიმუმ 10 ქულა. 8-10 ქულა: საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული. სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას. საფუძვლიანად აქვს ათვისებული, როგორც ძირითადი ისე დამხმარე ლიტერატურა; 5-7 ქულა: პასუხი არის გადმოცემული დამაკმაყოფილებალად, სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აქვს დაშვებული შეცდომები; 3-4 ქულა: პასუხი ნაკლოვანია, გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ფრაგმენტები; 1-2 ქულა: პასუხში მხოლოდ ფრაგმენტულად არის გადმოცემული საკითხი და მისი ძირითადი ნაწილი არსებითად მცდარია; 0 ქულა: პასუხი შესაბამისი არ არის, ან საერთოდ არ არის მოცემული.

	სტუდენტს სემესტრის განმავლობაში უნდა ჰქონდეს არაუმცირეს 11 ქულისა
სავალდებულო ლიტერატურა	• ნარკვევები ახაბერძნულ ლიტერატურაში, თბილისი, 2005. • Μ. Μιρασγέζη, Νεοελληνική Λογοτεχνία, Αθήνα 1978. • R. Beaton, Εισαγωγή στη νεότερη ελληνική λογοτεχνία, Αθήνα 1990 • Λ. Πολίτης, Ιστορία της νεοελληνικής λογοτεχνίας, Αθήνα 1985 აღნიშნული ლიტერატურა ხელმისაწვდომია თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ახალი ბერძნული ფილოლოგიის განყოფილების ბიბლიოთეკაში. (დანართის გრაფაში "დასამუშავებული ლიტერატურა" სავალდებულო ლიტერატურა ხშირ შემთხვევაში მოცემული არ არის. იგულისხმება, რომ სტუდენტი საჭიროების შემთხვევაში გაითვალისწინებს ზემოთ ჩამოთვლილ ლიტერატურის ისტორიებს).
დამატებითი ლიტერატურა და სხვა	• Δ. Τσακόνας, Επίτομη Ιστορία της Νέας Ελληνικής λογοτεχνίας, Κάκτος, Αθήνα 1999. • Μ. Vitti, Ιστορία της νεοελληνικής λογοτεχνίας, Αθήνα, 1994 • Π. Μαστροδημήτρης, Εισαγωγή στη νεοελληνική φιλολογία, Αθήνα, 1996. • Κ. Δημαράς, Ιστορία της νεοελληνικής λογοτεχνίας, Αθήνα, 1975 • თანამედროვე ბერძნული მოთხრობის ანთოლოგია, თბილისი, 2004. • თანამედროვე ბერძნული პოეზიის ანთოლოგია, თბილისი 2009. დანართის გრაფაში "დასამუშავებელი ლიტერატურა" ცალკეულ საკითხებზე მოცემულია სხვა დამატებითი ლიტერატურაც, თუმცა არ არის მითითებული ნაწარმოებების კრიტიკული გამოცემები - აღნიშნული გამოცემები ხელმისაწვდომია თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ახალი ბერძნული ფილოლოგიის ბიბლიოთეკაში. ასევე გამოყენებული იქნება აუდიო, ვიდეო მასალა.
დამატებითი ინფორმაცია/პირობები	სტუდენტებთან კონსულტაცია გაიმართება დეკანატთან შეთანხმებული ცხრილის მიხედვით.

დანართი

ლექცია/ სემინარი	ლექციის	დასამუშავებელი ლიტერატურა
1 ლექცია

3 ლექცია 3 სემინარი	ბერძნული ნეორომანტიზმი და ნეოსიმბოლიზმი. 20-იანი წლების პესიმისტური პოეზია – ბერძენი „თვითმკვლელი პოეტების“ თაობა. პესიმისტური ტენდენციების მომძლავრება ახალ ბერძნულ პოეზიაში. კ. კარიოტაკისი. ტექსტის კითხვა და ანალიზი (კ. კარიოტაკისის ლექსების ანალიზი)	მ. კაკაშვილი, ნეორო-მანტიზმისა და ნეო-სიმბოლიზმის ათენური სკოლა, ნარკვევები ახ-ალბერძნულ ლიტერატუ-რაში, თბილისი 2005.
4 ლექცია 4 სემინარი	ანგელოს სიკელიანოსი - პოეტი „მეოცნებე“, ანგელოს სიკელიანოსი და „დელფური იდეა“. „დელფური იდეის“ კრახი. ტექსტის კითხვა და ანალიზი (ა. სიკელიანოსის ლექსების ანალიზი). დოკუმენტური ფილმის ჩვენება ა. სიკელიანოსის ცხოვრებაზე.	Λ. Πολίτης, Ιστορία της νεοελληνικής λογοτεχνίας, Αθήνα, 1985.
5 ლექცია 5 სემინარი	ნიკოს კაზანძაკისი – ჭეშმარიტების მაძიებელი მწერალი. ნ. კაზანზაკისის მსოფლმხედველობის მრავალფეროვნება: ბუდიზმიდან კომუნიზმამდე. ნ. კაზანძაკისი და საქართველო. ტექსტის კითხვა და ანალიზი (პასაჟები საქართველოს შესახებ კაზანზაკისის სხვადასხვა რომანებიდან).	ზ. ვაჩეიშვილი, ნიკოს კაზანძაკისი, ნარკვევები ახალბერძნულ ლიტერატურაში, თბილისი 2005. თ. მესხი, დიდი ხანზრის მეწამული ანარეკლი, თბილისი 1996. ნიკოს კაზანძაკისის რომანის „უკანასკნელი ცდუნება“ მიხედვით გადაღებული ფილმის ნახვა სტუდენტებს შეუძლიათ თავისუფალ დროს ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

6 ლექცია

8 ლექცია 8 სემინარი	30-იანელთა თაობის სხვა მნიშვნელოვანი წარმომადგენლები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ზემოჩამოთვლილ სამ ლიტერატურულ სკოლას: ანგელოს ტერზაკისის, პანდელის პრეველაკისის, თანასის პეცალის-დიმოდისის შემოქმედება. განვლილი მასალა (ლექციები 6-8, სტუდენტის მიერ წაკითხული რომანის გარჩევა)	ა. ჩიქოვანი, დ. მეტრეველი, 30-იანელთა წლების პროზა, ნარკვევები ახალბერძნულ ლიტერატურაში, თბილისი 2005. Μ. Μιρασγέζη, Νεοελληνική Λογοτεχνία, Αθήνα 1978, გვ. 487-496. Η Μεσοπολεμική Πεζογραφία, από τον πρώτο ως δεύτερο παγκόσμιο πόλεμο (1914-1939), Αθήνα 1996.
9 ლექცია 9 სემინარი	გიორგოს სეფერისი – პირველი მოდერნისტი პოეტი ახალ ბერძნულ ლიტერატურაში. სეფერისის პოეზიის მნიშვნელობა ახალი ბერძნული პოეზიის განვითარების საქმეში. სეფერისი და ელიოტი – "მონათესავე" პოეტები. ანტიკური ტრადიცია სეფერისის შემოქმედებაში. ტექსტის კითხვა და ანალიზი (გ. სეფერისის ლექსების ანალიზი)	ს. შამანიდი, გიორგოს სეფერისი, ნარკვევები ახალბერძნულ ლიტერატუ-რაში, თბილისი 2005. Μ. Vitti, Φθορά και λόγος, Αθήνα 1989.
10 ლექცია 10 სემინარი	ბერძნული სიურეალიზმი. ბერძნული სიურეალიზმის თავისებურებანი – "სიურეალიზმი ბერძნულ ნიადაგზე", "პოეტები, რომლებიც სამყაროს ეგეოსის ზღვიდან უცქერენ": ა. ემბირიკოსი, ო. ელიტისი, ნ. ენგონოპულოსი. ბერძნული და ფრანგული სიურეალიზმის მსგავსებანი და განსხვავებანი – რა მიიღეს და რა უარყვეს ბერძენმა სიურეალისტებმა ბრეტონის მანიფესტიდან. ტექსტის კითხვა და ანალიზი (სტუდენტების მიერ შერჩეული ლექსები).	მ. ქამუშაძე, ს. შამანიდი, ბერძნული სიურეალიზმი, ნარკვევები ახალბერძნულ ლიტერატურაში, თბილისი 2005. Α. Αργυρίου, Διαδοχικές αναγνώσεις Ελλήνων υπερρεαλιστών, Αθήνα 1990

11 ლექცია 11 სემინარი	ბერძნული სიურეალიზმი - ნობელიანტის ო.ელიტისის შემოქმედება. სტუდენტები მოისმენენ ნაწყვეტებს ელიტისის პოემიდან “ღირს არს” მიკის თეოდორაკისის მუსიკაზე და ნახავენ დოკუმენტურ ფილმს ბერძენ სიურეალისტებზე. ტექსტის კითხვა და ანალიზი (სტუდენტების მიერ შერჩეული ლექსები). კოლოკვიუმი (განვლილი მასალა, ლექცია 6–10)	მაკა ქამუშაძე, სოფიო შამანიდი, ბერძნული სიურე-ალიზმი, ნარკვევები ახალბერძნულ ლიტერატუ-რაში, თბილისი 2005. Α. Αργυρίου, Διαδοχικές αναγνώσεις Ελλήνων υπερρεαλιστών, Αθήνα 1990.
12 ლექცია 12 სემინარი	კოლოკვიუმში დაშვებული შეცდომების ანალიზი. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ბერძნული პროზა. ამ პერიოდის ისტორიულ-პოლიტიკური აღწერა. “წინააღმდეგობის ლიტერატურის” დაარსება. დიქტატურის ზეგავლენა ბერძნულ პროზაზე. ლიტერატურის ორი ბანაკი: მემარჯვენეები და მემარცხენეები. ტექსტის კითხვა და ანალიზი (ა. სამარაკისის მოთხრობები)	თ. გაფრინდაშვილი, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ბერძნული პროვა, ნარკვევები ახალბერძნულ ლიტერატურაში, თბილისი 2005. Κοτζιάς Α., Μεταπολεμικοί πεζογράφοι. Κριτικά κείμενα, Κέδρος, Αθήνα 1988.
13 ლექცია 13 სემინარი	თანამედროვე ბერძნული პროზა. მეორე ომისშემდგომი თაობა. მისი მიმართება ისტორიასთან. მოდერნისტული ტენდენციები. მეორე ომისშემდგომი თაობის წარმომადგენლები: მარიოს ხაკასი, თანასის ვალტინოსი, ხრისტოფოროს მილიონისი, ტოლის კაზანძისი, ილიას პაპადიმიტრაკოპულოსი და მათი შემოქმედება. ტექსტის კითხვა და ანალიზი (მარიოს ხაკასისა და თანასის ვალტინოსის მოთხრობები)	ნ. დვალიძე, თანამედროვე ბერძნული მოთხრობა, ნარკვევები ახალბერძნულ ლიტერატურაში, თბილისი 2005. Κοτζιάς Α., Μεταπολεμικοί πεζογράφοι. Κριτικά κείμενα, Κέδρος, Αθήνα 1988.

14 ლექცია 14 სემინარი	მეორე ომისშემდგომი თაობის მიერ მოთხრობის ახალი მოდელის ჩამოყალიბება: პიროვნული იდენტიფიკაცია, საკუთარი ეგოს ძიება. გიორგოს იოანუს, კოსტას ტახცისის და მენის კუმანდარეასის შემოქმედება. ტექსტის კითხვა და ანალიზი (კოსტას ტახცისის და გიორგიოს იოანუს მოთხრობები)	ნ. დვალიძე, თანამედროვე ბერძნული მოთხრობა, ნარკვევები ახალბერძნულ ლიტერატურაში, თბილისი 2005. Κοτζιάς Α., Μεταπολεμικοί πεζογράφοι. Κριτικά κείμενα, Κέδρος, Αθήνα 1988.
15 ლექცია 15 სემინარი	ბერძნული პროზის 70, 80 და 90-იანელთა თაობები. მოდერნის დასრულება და პოსტმოდერნში გადასვლა. დიმიტრის ნოლასის, ადონის სურუნისის, დიმიტრის კალოკირისის და მარო დუკას შემოქმედება. ტექსტის კითხვა და ანალიზი (ფრაგმენტი დ. ნოლასის რომანიდან)	ნ. დვალიძე, თანამედროვე ბერძნული მოთხრობა, ნარკვევები ახალბერძნულ ლიტერატურაში, თბილისი 2005. Κοτζιάς Α., Μεταπολεμικοί πεζογράφοι. Κριτικά κείμενα, Κέδρος, Αθήνα 1988.